თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი

N5

ქ. თეთრიწყარო **16 იანვარი 2019 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

მალხაზ სამაშვილი - კომისიის თავმჯდომარე - მერის პირველი მოადგილე;

ეკატერინე აფციაური – კომისიის წევრი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი;

ნიკოლოზ სულხანიშვილი - კომისიის წევრი - მერიის ზედამხედველობის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის ფუნქციების დროებით შემსრულებელი;

გოჩა ქალდანი - კომისიის წევრი - მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი.

ვალერიან სუხიტაშვილი – კომისიის წევრი - მერიის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი;

ავთანდილ მუხაშავრია - კომისიის წევრი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ჩოხელი-ბურდული - კომისიის აპარატის წევრი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის შესყიდვების განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

სხდომას არ ესწრებოდნენ:

ბერდია ხვისტანი - კომისიის წევრი - მერის მოადგილე;

მზია ადუაშვილი - კომისიის წევრი - მერიის ქონების მართვისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი;

დალი აფციაური -კომისიის წევრი - საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ქ.თეთრიწყაროში გურამიშვილის ქუჩის საავტომობილო გზის ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შესახებ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება.

განიხილეს:

ქ.თეთრიწყაროში გურამიშვილის ქუჩის საავტომობილო გზის ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შესახებ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

განხილვის შედეგად კომისიის წევრებმა მოიწონეს წარდგენილი პროექტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე
კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ.თეთრიწყაროში გურამიშვილის ქუჩის საავტომობილო გზის ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი, რომლის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 282`815.00 (ორასოთხმოცდაორი ათას რვაასთხუთმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით. ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცები შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის

შესაბამისად ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს/ჩატარდეს ელექტრონული ტენდერის ჩატარებისათვის ამ წესით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად, აბრევიატურით NAT.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს უზრუნველყოს სისტემაში ელექტრონულად შევსებული ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე: მ. სამაშვილი

კომისიის წევრები: ე. აფციაური

გ. ქალდანი

ნ. სულხანიშვილი

ვ. სუხიტაშვილი

ა. მუხაშავრია

კომისიის აპარატის წევრი: ნ. ჩოხელი-ბურდული

TETRITSKARO MUNICIPALITY

Digitally signed by TETRITSKARO MUNICIPALITY
Date: 2019.01.17 18:10:53 +04'00'